დღიურს

შენთან ვსაუბრობ ყოველდღე,
მესაიდუმლევ გულისა,
შენა ხარ დამატკბობელი
აღშფოთებული სულისა.

ხშირად ცხოვრების ტალღებში
დასუსტებული ბრძოლითა.
შენ გიზიარებ სიმწარეს
წელში მოხრილი შრომითა!

ძველ ქვეყნის გველთა სისინზე
გული შფოთდება, ფრანგდება,
მაგრამ ბნელეთის ასპიდებს
დღიური გაუმკლავდება.

მას აქეთ, რაც რომ გულს მოსწყდა
სატრფო. წაიღო ტალღამა,
მითელ-მოთელა ცხოვრებამ,
სიცოცხლე ჩააბალღამა:

მის დარდ-ვარამსაც შენ განდობ,
შენ გიზიარებ, დღიურო,
შენ, ჩემი გულის საოხო,
ჩემო მანანავ ციურო!

შენი წიაღი ზოგ-ზოგან
ამტყდარი ქარიშხალია,
ზოგანეუმანკო სიცილი,
ზოგანაცეგლოვის ზარია!

სარკევ სულის და გრძნობების,

წარსულის გამხსენებელო,
აწმყოში ჩემი ფიქრების
მიმღებო, მომსვენებელო.

შენთან ვსაუბრობ ყოველდღე,
მესაიდუმლევ გულისა,
შენ მხოლოდ ერთადერთი ხარ
ჩამყუჩებელი წყლულისა!

1909 წ.